David Chelidze
Author, Journalist, Sportswriter

DIPLOMATIC PORTRAIT IN THE NATIONAL ATTIRE: TEIMURAZ MAMATSASHVILI

(Abstract)

KEYWORDS: Mamatsashvili, Ambassador, Georgia, Elizabeth II, Prince Philip, England, Shakespeare, Chokha, Vinopolis

From 1995 to 2004, Teimuraz Mamatsashvili served as the first Ambassador of Georgia to the United Kingdom and the Republic of Ireland, holding the rank of Ambassador Extraordinary and Plenipotentiary. In 2015, Revaz Gachechiladze, the current ambassador, attended a New Year's reception at Buckingham Palace, where Prince Philip remarked on Mamatsashvili's distinguished appearance and attire, eleven years after his departure from the UK.

Mr and Mrs Mamatsashvili were often invited to celebrate Shakespeare's birthday, where Teimuraz typically donned a chokha—a symbol of Georgian national identity representing unity, dignity, and historical memory. During his speech at one of these events, he captivated the audience by sharing Georgian cognac from his chokha flasks. Upon reaching the tribune, he drew a dagger, placing it beside him, and proclaimed: “May there be peace in our families. I come to you with peace... Ladies and gentlemen, it is an honour to be here in the birthplace of the great William Shakespeare. So much has been said about him; I cannot

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

add anything new. Yet, no celebration is complete without wine, and Vinopolis, near the Globe Theatre, celebrates Georgia—the cradle of winemaking. Wine is our gift to humanity, just as Shakespeare and the English language are yours. Let us toast to Shakespeare's significance worldwide." His toast garnered an enthusiastic standing ovation from 740 attendees.

At Vinopolis, it was declared for the first time that Georgia is the homeland of wine, with the first hall dedicated to the country. Mamatsashvili prompted several progressive initiatives in England that promoted Georgia. He hosted the Marjanishvili Theatre during their tour of Scotland and played a vital role in saving the Georgian fishing fleet from dissolution before it was sold by the Saakashvili government. With the head of the European Bank, he established several banks in Georgia and introduced talented young artist Beso Kazaishvili, aged nine, to British media, securing him a personal exhibition in London. He also established a Georgian church in London, earning gratitude from the expat community. As a distinguished diplomat, Mamatsashvili built friendships with ambassadors from various nations and collaborated with the Russian ambassador on Abkhazia, although these meetings faced obstruction from the Russian government.

In 2004, Teimuraz Mamatsashvili was compelled to resign by the Georgian government. Nonetheless, his nine years of dedicated service and exceptional professionalism left a lasting impression in England, with the Duke of Edinburgh fondly recalling him eleven years after his departure from office.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დავით ჭელიძე
პუბლიცისტი, მწერალი, სპორტული ჟურნალისტი

დიპლომატიური პორტრეტი ჩოხაში: თეიმურაზ მამაცაშვილი

საკვანძო სიტყვები: მამაცაშვილი, ელჩი, საქართველო, ელისაბედ II, პრინცი ფილიპი, ინგლისი, შექსპირი, ჩოხა, ვინოპოლისი

საქართველოს პირველი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, პირველი ელჩი ირლანდიის რესპუბლიკაში (1995-2004), თეიმურაზ მამაცაშვილი ცხრა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ამ თანამდებობაზე. მას მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.[1]

1999 წელს ბაკინგემის სასახლეში საახალწლო მიღებას თეთრი ჩოხით ესწრებოდა ელჩი თეიმურაზ მამაცაშვილი. დიდ დარბაზში კედლის გასწვრივ განლაგებულ საელჩოების წარმომადგენლებთან რიგ-რიგობით მიდიოდა მოსაკითხავად ჯერ დედოფალი, შემდეგ მისი მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი, მერე უელსის პრინცი. ჩვეულებრივ, თითოეულ საელჩოს წარმოადგენდა ქვეყნის ელჩი, მისი მეუღლე, ოჯახის წევრი და საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომელი. თითოეულ მათგანს რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკებოდა სამეფო ოჯახის ყოველი წარმომადგენელი. ისინი უკვე კარგა ხნის შეჩვეულნი იყვნენ ქართულ ტრადიციულ სამოსელს, რომელსაც ბატონი თემური საოცრად იხდენდა. იმ დროს ახალი დაქორწინებული იყო ელისაბედ II-ის უმცროსი

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვაჟიშვილი, პრინცი ედუარდი სოფი რიზ-ჯონსზე. ზურგამოჭრილ, ულამაზეს ჰაეროვან თეთრ კაბაში გამოწყობილი უესექსის გრაფინია თეთრი შალის ჩოხამ ძალიან დააინტერესა და საქართველოს ელჩს ათასი წვრილმანი ჰკითხა სხვადასხვა დეტალის თაობაზე. ბოლოს „ჩამჭრელი“ შეკითხვა დაუსვა: კი მაგრამ, არ გცხელათ? ენამოსწრებულმა ელჩმა დაუფიქრებლად უპასუხა: თქვენო სამეფო უდიდებულესობავ, სანამ თქვენ მოხვიდოდით, არ მცხელოდა, მაგრამ ახლა, რაც თქვენ მოხვედით, ძალიან მაგრად დამცხაო. ბატონმა თემურმა მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ გაიაზრა თავისი ქართული კომპლიმენტის ინგლისური ორაზროვნება, როცა სოფი შეტრიალდა და სასწრაფოდ გადაინაცვლა დარბაზის მეორე მხარეს.

2015 წელს, როდესაც ბაკინგემის სასახლეში საახალწლო მიღებას იმავე დიპლომატიურ რანგში, რეზო გაჩეჩილაძე[2] ესწრებოდა, მან ელისაბედ II-ის მეუღლეს, ედინბურგის ჰერცოგს, პრინც ფილიპს თავი წარუდგინა. პრინცი ფილიპის რეაქცია ასეთი იყო: საქართველოს ელჩი? იცით, რომ თქვენი პირველი ელჩი ძალიან სიმპათიური პიროვნება ბრძანდებოდა, ეროვნულ სამოსელს ატარებდაო. იმ დროისათვის თემურ მამაცაშვილი უკვე 12 წლის წამოსული იყო ინგლისიდან.

2003 წლის 19 თებერვალს საელჩოში ტელეფონის ზარი გაისმა. ვიცე-ადმირალი ითხოვდა საქართველოს ელჩთან დაკავშირებას. დედოფლის დავალებით რეკავდა: 15 აპრილს უინძორის სასახლეში სადილზე იწვევდა მეუღლესთან ერთად. საქართველოს ელჩს სადილისთვის სტუმრების მაგიდასთან განაწილების გეგმა და მენიუც გამოუგზავნეს. თანაც, იწვევდნენ ღამისთევით.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

15 აპრილს 7-ის ნახევარზე ბატონი თემური და მისი მეუღლე ირინა არხანგელსკაია უინძორის სასახლეში იყვნენ. მომსახურე პერსონალმა მანქანიდან გადმოიღო მათი ჩანთები და სამოთახიან აპარტამენტებამდე მიაცილეს. სტუმრებს იქ დახვდა ახალგაზრდა სამხედრო პირი, რომელიც ელჩს ემსახურებოდა და ახალგაზრდა ქალი, ქალბატონი ირინას დამხმარედ. მათ ჩანთებიდან ტანსაცმელი ამოალაგეს, დააუთოვეს და კარადის უჯრებში მოათავსეს. ქალბატონი ირინას სამკაულებიც კოხტად დააწყვეს ტრილიაჟზე.

აპარტამენტი სამი ოთახისგან შედგებოდა: მამაკაცისა და ქალის საძინებლები, შუაში – კაბინეტი. ელჩის საძინებელი ძალიან პატარა იყო, ვიწრო საწოლით. მისი მეუღლისა კი – უზარმაზარი ოთახი, შესაბამისად, ფართე საწოლით. როგორც წყვილს შემდეგ აუხსნეს, თუ მამაკაცს კომფორტულად სურს ეძინოს, მეუღლისგან უნდა აიღოს ნებართვა, რომ მის საძინებელში გაატაროს ღამე.

სტუმრების ერთმანეთისთვის გასაცნობად ჯერ შამპანურით მიღება გაიმართა. სულ შვიდი წყვილი აღმოჩნდა დაპატიჟებული. ზოგადად, ყოველთვის გრძნობდა საქართველოს ელჩი ბრიტანეთის მონაქრის კეთილგანწყობას, მაგრამ ასეთ ვიწრო წრეში სტუმრობა განსაკუთრებული პატივი იყო. სითამამისთვის, ბატონმა თემურმა სამი-ოთხი ჭიქა ვისკი მიირთვა. პირველმა ნაწილმა ამაღელვებელი განწყობით ჩაიარა. შემდეგ სტუმრები მცირე ხნით მოასვენეს და დედოფალთან სადილზე მიიწვიეს.

ნასადილევს, ელისაბედ II უინძორის სასახლის დასათვალიერებლად გაუძღვა მაღალი რანგის წყვილებს. საქართველოს ელჩი, მეუღლესთან ერთად, მონარქის

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

გვერდით აღმოჩნდა. ფაქტობრივად, მთავარი სტუმრები თემურ მამაცაშვილი და ირინა არხანგელსკაია იყვნენ. მათ უკან თავად ედინბურგის ჰერცოგი ახლდა შემდეგ წყვილს. დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ.

დედოფალმა დიდ ხანს იარა სასახლის ოთახებში. დაწვრილებით უამბო 1992 წლის 20 ნოემბერს დილას უინძორში დაწყებული ხანძრის შესახებ, რომლის დროსაც 115 ოთახი დაზიანდა. სამი საათის განმავლობაში შვიდი ქვეყნის 225 მეხანძრე იბრძოდა ალში გახვეული ისტორიული შენობის გადასარჩენად. ამ დროს კი სასახლის პერსონალი ხელოვნების ნიმუშების გამოტანას და გადარჩენას ცდილობდა. ამ თავდადებული ადამიანების წყალობით, მხოლოდ ორი ნივთი ემსხვერპლა ხანძარს. დილის 12-ის ნახევარზე დაწყებული ცეცხლის ლიკვიდაცია მხოლოდ ნაშუადამევს, 3-ის ნახევრისთვის შეძლეს.[3] 15-საათიანი სტიქიით დაზიანებული სასახლის აღდგენითი სამუშაოების თაობაზეც ისაუბრა ბრიტანეთის მონარქმა.

ბიბლიოთეკაში, რომელიც, ამავე დროს, მუზეუმიცაა, დედოფალი ერთ ექსპონატთან შეჩერდა და ბატონ თემურს საკუთარი გულისტკივილი გაუზიარა: მამაჩემს მივწერე პირადი წერილი, რომელიც მერე აქ საჯაროდ გამოფინესო. საქართველოს ელჩმა დელიკატურად უპასუხა: თქვენო უდიდებულესობავ, წარმომიდგენია, როგორ გაეხარდებოდა მამათქვენს, ასეთი წერილის მიღება 12 წლის ქალიშვილისგანო. შემდეგ საყოველთაოდ ცნობილ ფოტოსთან მიიყვანა, როდესაც 26 წლის ასაკში, აფრიკაში მოგზაურობისას შეატყობინეს მამის გარდაცვალება ტახტის მემკვიდრეს. ბატონმა თემურმა ამის საპასუხოდ თამარ მეფეზე უამბო, რომლის XII საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტზე

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ასვლას შოთა რუსთაველმა პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მიუძღვნა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აფორიზმით: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.[4] სტუმარ-მასპინძელი აშკარა სითბოთი ურთიერთობდა, როდესაც შემდეგ ფოტოს მიუახლოვდნენ. ელისაბედ II-მ განუმარტა, აქ ლენტს ვჭრი ჰიტროუს გახსნაზეო. ბატონ თემურს კარგად მოეხსენებოდა, როგორ თავისტკივილად ექცათ სასახლის მესვეურთ დილაუთენია დაწყებული რეისები, გვიან ღამემდე რომ ხმაურით ზედ უფრენდნენ ისტორიულ შენობას. თავისთვისვე მოულოდნელად, ქართველმა ელჩმა გულწრფელი კომენტარი არ დააყოვნა: თქვენო უდიდებულესობავ, ეს იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა. თუმცა, საკუთარი სიტყვები იმ წუთშივე ინანა. მონარქს სახე გაუქვავდა, გამომეტყველება გაუცივდა. სიტუაციის განმუხტვას იუმორით შეეცადა ბატონი თემური: კიდევ კარგი, ძველი დრო არ არის, თორემ ნამდვილად წამიყვანდნენ ტაუერში და თავს წამაცლიდნენო. მოულოდნელად, დედოფალი ახითხითდა, ბატონ თემურს სამ-ოთხჯერ მხარზე ხელი დაჰკრა და თან უმეორებდა: დიახ, დიახ, ნამდვილად მართალი ბრძანდებით, რა სწორად თქვითო. დანარჩენი სტუმრები გაოგნებული უმზერდნენ ბრიტანეთის დედოფლის მიერ საქართველოს ელჩისადმი გამოვლენილ უჩვეულო ფამილარობას. მოგვიანებით, ბატონი თემური ხუმრობდა, რომ უფრო უარესს გადარჩა და დედოფალმა „ცემა“ აკმარა.

ღამის 12 საათზე ელისაბედ II და პრინცი ფილიპი გულთბილად დაემშვიდობნენ წყვილს და სტუმრები თავიანთი აპარტამენტისკენ გაემართნენ. მეორე დილით, ნასაუზმევს საქართველოს ელჩმა და მისმა მეუღლემ

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ლონდონისკენ აიღეს გეზი. შინ დაბრუნებულებმა სამადლობელი წერილი გაუგზავნეს დედოფალს.

თემურ მამაცაშვილს და მის მეუღლეს, ირინას, მუდმივად იწვევდნენ შექსპირის დაბადების დღის ზეიმზე. როგორც წესი, ასეთ შეხვედრებზე საქართველოს ელჩი თეთრ ჩოხაში გამოწყობილი დაბრძანდებოდა; ეროვნული იდენტობის ეს სიმბოლო ხომ მამულიშვილური ერთობის, ღირსებისა და ისტორიული მეხსიერების გამოხატულებაა, ტრადიცია, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. თუმცა, პირველად გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა, ორი ზომით პატარა სმოკინგში გაჭედვის ნაცვლად, მშობლიურ ჩოხაში ლაღად გამოწყობილი წვეოდა ბრიტანეთის მაღალ საზოგადოებას. ეტიკეტის თანახმად, სხვა არჩევანი არ დარჩენოდა საქართველოს პირველ ელჩს.

ბატონმა თემურმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე თავისი გამოსვლით. ვიდრე ტრიბუნასთან მივიდოდა, მან ჩამოუარა თავის ნაცნობ თუ იმ დღეს გაცნობილ დიდებულებს და თავისი ჩოხის მასრებიდან ჭიქებში ჩამოუსხა 20-20 გრამი ქართული კონიაკი. მასრები მან თბილისში ყოფნის დროს შეავსებინა სასმელით. ტრიბუნასთან რომ მივიდა, ქარქაშიდან ხანჯალი ამოიღო, დადო და თქვა: „მშვიდობა ყოფილიყოს ჩვენს ოჯახებში, მე მშვიდობით მოვედი თქვენთან“. თავისთვისაც ამოიღო მასრა, კონიაკი ჭიქაში დაისხა და, ქართული ტრადიციისამებრ, სადღეგრძელო შესთავაზა დამსწრე საზოგადოებას:

„ქალბატონებო და ბატონებო! სიტყვით ვერ აღვწერ, რაოდენი პატივია ჩემთვის და როგორ ვამაყობ, აქ რომ ვარ, თქვენთან, ამ წმინდა ადგილას, სადაც მსოფლიოს უდიდესი დრამატურგი, რენესანსის ეპოქის ტიტანი –

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

უილიამ შექსპირი დაიბადა, ცხოვრობდა, გარდაიცვალა, მაგრამ, დღესაც ცოცხლობს. ოკეანეზე ვრცელია შექსპირის შესახებ თქმული და დაწერილი; მე ვერ გავკადნიერდები, რაიმე დავუმატო ამ ოკეანეს...

უნდა მოგახსენოთ რომ XII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ წერს: „რასაცა გასცემ შენია, რას არა – დაკარგულია“. არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ რაოდენ მადლიერები ვართ, რომ შექსპირი მხოლოდ თქვენთვის არ დაიტოვეთ თქვენს ულამაზეს ენაზე, რითაც თქვენც და ჩვენც გავმდიდრდით სულიერად, უკეთ გავუგეთ ერთმანეთს, უფრო დავახლოვდით.

„რომეო და ჯულიეტა“ ქართულად პირველად 1841 წელს ითარგმნა, რასაც მოჰყვა „მეფე ლირი“ (1877), „ჰამლეტი“ (1886), „ოტელო“ (1888), „მაკბეთი“ (1892), „იულიუს კეისარი“ (1898). ამ თარგმანებმა სულიერად კიდევ უფრო გაამდიდრა მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის მქონე საქართველო, გახდა მისთვის საუნჯე, მისი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენ ჩვენის მხრივ, გავითავისეთ ეს საუნჯე: „ოტელო“, „რიჩარდ მესამე“ და „მეფე ლირი“ ქართული თეატრალური დასების მიერ დაიდგა ლონდონის, გლაზგოსა და ედინბურგის თეატრების სცენებზე.

შექსპირი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენაზე ითარგმნა და ამით იგი მათი საკუთარი პოეტი და დრამატურგი გახდა. ყველაზე იღბლიანი ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდა, ვინაიდან მათ ეს საუნჯე ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მიიღეს.

ნება მიბოძეთ, წაგიკითხოთ გივი გაჩეჩილაძის მიერ ქართულად თარგმნილი 66-ე სონეტი, რომელიც,

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

შესაძლოა, შექსპირის დიდებული ტრაგედიების ეპიგრაფიც იყოს:

„ვეძახი სიკვდილს, დაქანცულმა როგორ
ვუმზირო,
მათხოვრად შობილს და დათრგუნვილს
ქვეყნად ღირსებას
როგორ ნთქავს ნდობას სიცრუის ზღვა
ვრცელი, უძირო,
სულით ღატაკი ზღვა სიმდიდრით როგორ
ივსება!
უღირსს პატივი მიეგება დაგმობის ნაცვლად,
და დევნილია ჭეშმარიტი სრულყოფილება,
და უბიწობა გათელილა უხეშად, მკაცრად,
და ძლიერება უძლურებას ემორჩილება;
და ხელოვნებას ბრძანებებით დაბმია ენა,
და ბრძნად გვაჩვენებს თავს სულელი
გამობრძმედილი,
და სისულელედ ეჩვენება სიმართლე სმენას
და თავის მონად უქცევია ბოროტს კეთილი;
დაქანცული ვარ და სიცოცხლე არ მსურს
სრულებით,
მაგრამ ვერ ვტოვებ, რადგან ქვეყნად შენ
მეგულები“.

კიდევ ერთი რამ: არანაირი დღესასწაული არ არის შესაძლებელი სიცოცხლის მომცემი სითხის გარეშე, რომელსაც ღვინო ჰქვია და როდესაც განიხილებოდა, თუ სად უნდა განთავსებულიყო ვინოპოლისი[5] – ღვინის უნიკალური სამყარო ლონდონში, სადაც საქართველო წარმოდგენილია, როგორც ღვინის სამშობლო ქვეყანა, გადაწყდა, ვინოპოლისის შექსპირის გლობუსის თეატრის გვერდით, მდინარე ტემზის სამხრეთ ნაპირზე დაფუძნება.

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ღვინო ჩვენი საჩუქარია კაცობრიობისათვის, ისევე, როგორც შექსპირი და ინგლისური ენა იყო თქვენი საჩუქარი.

ბატონებო და ქალბატონებო, გთხოვთ, შევსვათ შექსპირის მნიშვნელობის სადღეგრძელო მთელი მსოფლიოსათვის!“

ცხადია, ეს სადღეგრძელო აიტაცა შეკრებილმა საზოგადოებამ. მეტიც, წარმოუდგენელი ოვაცია ატყდა.

მეორე დღეს ბატონმა ელჩმა წერილი მიიღო შექსპირის საზოგადოების ხელმძღვანელისგან: წლეულს საუკეთესო გამოსვლები იყო, მაგრამ თქვენმა სადღეგრძელომ უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. ვერასოდეს წარმოვიდგენდით, ფეხზე ამდგარმა 740 ადამიანმა ისეთი ოვაცია გაუმართა საქართველოს ელჩსო.

ცოტა რამ ვინოპოლისის თაობაზეც უნდა ითქვას. 1999 წელს ბატონმა თემურმა ლონდონის ერთ-ერთ გაზეთში წაიკითხა რომ იგეგმებოდა მსოფლიოში უდიდესი და უნიკალური ღვინის მუზეუმის გახსნა სახელწოდებით ვინოპოლისი ანუ ღვინის სამყარო, სადაც იმუშავებდნენ ღვინის მწარმოებელი ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით მუდმივმოქმედი პავილიონები. ვარაუდობდნენ, რომ ყოველწლიურად მოსალოდნელი იყო ნახევარი მილიონი ტურისტის ვიზიტი.

თემურ მამაცაშვილი დაუკავშირდა ამ ინფორმაციის გამავრცელებლებს და უთხრა, რომ ღვინის ქვეყნიდან იყო. მეორე დღესვე საელჩოში ესტუმრნენ ინიციატორები და დაწვრილებით გააცნეს, რას გეგმავდნენ.

ელჩმა სასწრაფოდ აფრინა წერილები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, „ვაზიანში“,[6] „სამებასა“[7] და GWS-ში.[8] ძალიან გაუკვირდა,

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

რომ მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძე გამოეხმაურა GWS-დან. მან ლონდონში გამოაგზავნა ქვევრი, ვერცხლის თასის ასლი და თავისი ღვინო.

ქართული მხარისა და ინგლისელების შეთანხმებით, ვინოპოლისის პირველი ოთახი საქართველოს დაეთმო. შემდეგ მოდიოდა საფრანგეთი, იტალია, ავსტრალია და სხვა ქვეყნები.

საელჩოსა და პირადად თემურ მამაცაშვილის ძალისხმევით, ქართველთა და ინგლისელთა თანადგომით შეგროვდა 17 ათას გირვანქამდე თანხა, რითაც დაფინანსდა ვიდეოკედელი – უზარმაზარი ტელეეკრანი, რომელიც ყოველ ორ წუთში აჩვენებდა ინგლისელი ჟურნალისტის, ჰიუ ჯონსონის[9] მიერ ბი-ბი-სის დაკვეთით გადაღებული ფილმიდან კლიპებს ღვინის წარმოშობაზე, სადაც ასაბუთებდა, რომ ღვინის სამშობლო არის საქართველო.[10] იქვე იყო გამოფენილი ბატონი თემურის საჩუქარიც – უზარმაზარი ყანწი და ხმალ-ხანჯლის კომპლექტი. ძირს კი ქვევრი მოეთავსებინათ. კედელზე გამოაკრეს სპონსორების სია, რომლებმაც თანხები გაიღეს და იშრომეს ამ ოთახის მოსაწყობად. აქ შემოსული ტურისტი ყურსასმენის მეშვეობით აუდიოგიდს უსმენდა და ვირტუალურად მოგზაურობდა ღვინის სამყაროში, რომელიც საქართველოს დარბაზით იწყებოდა. 4-საათიან ტურში ღვინის დეგუსტაციაც შედიოდა. თუ სტუმარს ღვინო მოეწონებოდა, ღვინის ისტორიაში დეგუსტაციური ტურის დასასრულს მისი შეძენაც შეეძლო მაღაზიაში.

1999-2015 წლებში ვინოპოლისი გახდა ქართველების სიამაყის საგანი, სადაც, თემურ მამაცაშვილის ძალისხმევით, ჩვენი პლანეტის ისტორიაში პირველად

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

გამოცხადდა და დასაბუთდა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

საქართველოს ელჩმა ვინოპოლისში საუკეთესო ქართველები მიიწვია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. „ანზორ ერქომაიშვილს ვთხოვე და დიდად დამეხმარა; ჩამოიყვანა ანსამბლ „რუსთავის“ 12 მომღერალი და რვა მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძესთან ერთად, ოთხი გოგონა და ოთხი ვაჟი. ანზორმა და ფრიდონმა ზღაპრული პროგრამა წარმოადგინეს... დიდი თეატრიდან ჩამოვიყვანეთ ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილი და ბატონი ბადრი მაისურაძე. ესპანეთიდან ჩამოვიყვანეთ გიორგი ბაგრატიონი“, მადლიერებით იგონებს თემურ მამაცაშვილი.

როცა შოტლანდიაში მარჯანიშვილის თეატრს ჰქონდა გასტროლები, რა თქმა უნდა, მათ ბატონმა თემურმა უმასპინძლა.

საქართველოს ელჩმა გადაარჩინა ჩვენი თევზსაჭერი ფლოტი. თითქმის, 50 კომერციული გემი ჰქონდა ქვეყანას, საიდანაც 26 დარჩა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში. მათი შენარჩუნება დიდი ძალისხმევის ფასად შეძლო თემურ მამაცაშვილმა, მაგრამ სუყველა გაიყიდა სააკაშვილის პერიოდში.

1991 წელს შექმნილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის[11] (EBRD) წარმომადგენლობა 1997 წლის ნოემბერში გაიხსნა თბილისში. ევრობანკის ხელმძღვანელის დახმარებით, თემურ მამაცაშვილმა ხელი შეუწყო საქართველოში რამდენიმე ბანკის გახსნას.

ლონდონში ჩაიყვანა ქუთაისელი ბესო ყაზაიშვილი და 9 წლის ნიჭიერ მხატვარს გზა გაუკვალა.[12]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბატონმა თემურმა ლონდონში გახსნა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რისთვისაც ქართველების დიდი მადლიერება დაიმსახურა.

2003 წლის 4 თებერვალს ქართველი სტუდენტის, გიორგი გიგაურის ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსებული ოქსფორდის ქართული საზოგადოების საზეიმო გახსნას,[13] რომელიც ქვინს-კოლეჯში გაიმართა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბრიტანეთში, თეიმურაზ მამაცაშვილიც ესწრებოდა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად.

1990-იანი წლები ურთულესი იყო საქართველოსთვის. ლონდონში საქართველოს საელჩოს საკმაოდ მცირერიცხოვანი გუნდი მოკრძალებულად ცხოვრობდა. ელჩი საგანგებო შეხვედრებისთვის სმოკინგს ქირაობდა. მისი მეუღლე საელჩოს მზარეულის ფუნქციებს ითავსებდა დამხმარე ნათესავ ქალბატონ გულიკოსთან ერთად. ირინა არხანგელსკაიამ ინგლისური კარგად იცოდა, ბევრი საინტერესო ადამიანის გაცნობა-დამეგობრება შეძლო, ქალთა კლუბი ჩამოაყალიბა და „ბევრად მეტს საქმიანობდნენ, ვიდრე, საჭირო იყო, ალბათ“, ხუმრობით იხსენებს ერთგული მეუღლის ღვაწლსა და თანადგომას ბატონი თემური.

თემურ მამაცაშვილი, როგორც ჭეშმარიტ დიპლომატს ეკადრება, ყველა ქვეყნის ელჩთან მეგობრობდა; იგი აქტიურად მუშაობდა რუსეთის ელჩთან აფხაზეთის თემაზე, რაც, სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ აღკვეთა...

2004 წლის გაზაფხულზე[14] თემურ მამაცაშვილს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ელჩის მანდატი დაატოვებინა... თუმცა მან 9-წლიანი თავდაუზოგავი მოღვაწეობით, პროფესიონალიზმითა და

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მამულიშვილობით წარუშლელი ქართული კვალი დატოვა უძველესი ინგლისის მიწაზე და არაერთი საშვილიშვილო ქართული საქმის მოთავე და განმახორციელებელი გახდა.[15]

ლიტერატურა ▫ References

1. 1. ჭუმბურიძე ზვიად (2021). დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები: 1991-2021 (ნაწილი 1). თბილისი, გვ.: 114. [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/380618/1/Damoukidebeli_Saqartvelos_Elchebi_1991-2021.pdf]
2. რევაზ (რეზო) ბაჩეჩილაძე (დ. 4 მაისი, 1943, თბილისი) – ქართველი დიპლომატი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი; გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1991). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1965). 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თურქეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფია“, 1990 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მოკავშირე რესპუბლიკის სოციალური გეოგრაფია (საქართველოს მასალებზე)“. იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში (1998-2004), სომხეთში (2005-2009), გაერთიანებულ სამეფოში (2014-2016), სლოვაკეთში (2016-2020). ასევე, იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (2008-2016). არის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელი წევრი (1999), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი (2018). 1994-2011 წლებში პერიოდულად იყო მიწვეული პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი). მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია (მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, 2002), ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია (2008 წელს გამოცემული წიგნისათვის „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; 2010), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედალი (დიპლომატიური სამსახურისა და საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში შეტანილი მრავალწლიანი აკადემიური ღვაწლისთვის, 2021). გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის, 35 გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ) და 24 მონოგრაფია (მათ შორის,

სამი – საზღვარგარეთ). იხ.: ვინ ვინ არის საქართველოში: ქართული ბიოგრაფიული ცნობარი (2006), თბილისი.
3. The fire at Windsor Castle (1992, November 20). *Royal Collection Trust* [https://www.rct.uk/visit/windsor-castle/the-fire-at-windsor-castle]
4. Story of Rostevan, King of the Arabians [https://www.pantherskin.org/chapter/story-of-rostevan-king-of-the-arabians] in: Shota Rustaveli, *The Knight in the Panther's Skin* [https://www.pantherskin.org]
5. Vinopolis, UK [https://vinopolis.co.uk/about/]
6. Vaziani [https://vaziani.ge]
7. Saamo, formerly known as Sameba [http://www.saamo.ge/?page=about_us&lang=georgian]
8. GWS [https://gws.ge/en/brands]
9. The Wine Show (2020, September 17). The Wine Show @ HOME - with Hugh Johnson [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=1BCwUa6Rpok]
10. Vintage: A history of wine [TV Mini Series] (1989). Directed by Michael Gill and Christopher Ralling, Malone Gill Productions & WGBH. [https://www.youtube.com/watch?v=TJnHLdGxhlc&list=PLOR7rphKCntuPVXca1KzIbmX34FA0uqSX]
11. European Bank for Reconstruction and Development [https://www.ebrd.com]
12. ინტერვიუ თეიმურაზ მამაცაშვილთან (წყნეთი, 2019). ტელეკომპანია „ქართული TV“ [https://www.youtube.com/watch?v=_8OxgMbqiZI]
13. Oxfor Georgian Society (Oxford, England) [https://www.georgianoxford.com/about-us]
14. "By command of Her Majesty, Sir Anthony Figgis (Marshal of the Diplomatic Corps) called upon His Excellency Mr Teimuraz Mamatsashvili at 4 Russell Gardens, London W14, this afternoon in order to bid farewell to His Excellency upon relinquishing his appointment as Ambassador from Georgia to the Court of St James's." In: The Court Circular (2004, March 3). *The Times* [https://www.thetimes.com/travel/destinations/uk-travel/england/london-travel/court-circular-7c7nwr3vwmq]
15. თეიმურაზ მამაცაშვილის წიგნის პრეზენტაცია (16 დეკემბერი, 2019). ტელეკომპანია „ქართული TV“ [https://www.youtube.com/watch?v=u3kZEsRQZMU]